ასე იწყებოდა დიდი საქართველო

1000 წლის წინათ, X საუკუნის ბოლო მეოთხედში საფუძველი ჩაეყარა დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას-საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღდგენასა და ერთიანი ქართული ფეოდალური სამეფოს-საქართველოს სამეფოს შექმნას. ქართველთა არაერთი თაობის მიზანდასახულ, მუხლჩაუხრელ შრომასა და ხმალჩაუგებ ბრძოლას თავისი შედეგი მოჰყვა--ჩვენი სამშობლოს მრავალათასწლოვან ისტორიაში ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობა დაიწყო.

საქართველოს გაერთიანებული მონარქიისათვის მტკიცე საძირკველის ჩაყრა, მისი სახელმწიფოებრივი ერთიანობის აღმშენებლობის პირველი გადამწყვეტი ეტაპი დაახლოებით 25 წლის მანძილზე 978-1003 სლებში გრძელდებოდა. იგი დაიწყო 978 წელს, როდესაც დას. საქართველოს-„აფხაზთა სამეფოს“ ისტორიულ დედაქალაქ ქუთაისში, გაერთიანებულ საქართველოს პირველ მეფედ ბაგრატ III ბაგრატიონი გამოაცხადეს და დასრულდა 1003 წელს, როცა იმავე ქუთაისში „განგებითა დიდითა“ ზეიმით აღნიშნეს ყოველთა ქართველთა ეროვნული ერთიანობის უპირველეს სიმბოლოდ აღიარებული ბაგრატის დიდი საკათედრო ტაძრის მშენებლობის დამთავრება.

გაერთიანებულ საქართველოს პირველ მეფედ აღიარებულია ქართველ ბაგრატიონთა დინასტიის სახელოვანი წარმომადგენელი -ბაგრატ III ბაგრატიონი(978-1014წწ). მაგრამ აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ უაღრესად დიდ ისტორიულ პროცესში ბაგრატთან ერთად უდიდესი როლი ითამაშა ორმა პიროვნებამ ეგრის-აფხაზეთის სამეფოს დიდმა ერისთავმა იოანე მარუშის-ძემ და ტაოს ქართველთა სამეფოს მეფემ დავით III კურაპალატმა.

იოანე მარუშის-ძემ წამოაყენა ახალგაზრდა ბაგრატ ბაგრატიონის სამეფო სკიპტრის ქვეშ საქართველოს გაერთიანების პოლიტიკური გეგმა, რომელშიც აქტიური როლი უნდა ეთამაშა აგრეთვე ტაოს მეფე დავით III კურაპალატს. ბაგრატ ბაგრატიონი იყო აფხაზთა სამეფოს მემკვიდრე დედის მხრიდან. მამამისი-გურგენ ბაგრატიონი კლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ ტახტს ფლობდა. იოანე მარუშის-ძის გეგმის თანახმად ტაოს მეფე დავით კურაპალატმა , რომელსაც მემკვიდრე არ ყავდა, ბაგრატ ბატონიშვილი თავის მემკვიდრედ დაასახელა. ამგვარად ბაგრატ ბაგრატიონი თავის გვირგვინის ქვეშ აერთიანებდა ისტორიული საქართველოს ტერიტორიის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

978 წელს, სამეფო ასაკს მიღწეული ბაგრატი ქუთაისში ადის აფხაზთა სამეფოს ტახტზე და იწყებს აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას. მისი გეგმაზომიერი და წინდახედული პოლიტიკის შედეგად საქართველოს გაერთიანების პროცესი შეუქცევად სახეს იღებს. 1008-1010 წლისათვის ბაგრატ III ბაგრატიონი აკონტროლებს შიდა ქართლისა და კახეთ-ჰერეთის ტერიტორიას, თბილისის გამოკლებით, რომელიც კვლავ უცხოელთა გამგებლობის ქვეშ რჩებოდა. ერთიანი საქართველოს პირველი მეფის ტიულატურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: „ მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა“. 1014 წელს გარდაცვლილი ბაგრატ III მიაბარეს ისტორიული ქართული მხარის-აფხაზეთის მიწას, ბედიის მონასტერს.

ბაგრატ III-ის მემკვიდრეების, გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდში კვლავ გაგრძელდა ქვეყნის გაძლიერება-განვითარებისათვის პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ XI საუკუნის შუა ხანებში ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში თურქ-სელჩუკთა გამოჩენამ პროცესები დაამუხლუჭა. 1071 წელს მანასკერტთან ბიზანტიის იმპერიის დამარცხების შემდეგ, საქართველო მარტოდმარტო აღმოჩნდა სელჩუკებთან პირისპირ, რასაც 1080 წელს მოჰყვა „დიდი თურქობის“ დაწყება. მომთაბარე სელჩუკები ადრე გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე თავიანთი ოჯახებითა და საქონლით მოდიოდნენ და სახლთებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე. სამეფო ხელისუფლებამ ვერ მოახერხა მათი შეკავება. მეფე გიორგი II იძულებული შეიქნა ხარკი ეკისრა ყოველწლიური, მაგრამ მდგომარეობა უაღრესად მძიმე იყო. თურქ-სელჩუკები კვლავ აგრძელებდნენ ქართული მიწა-წყლის აოხრება-გაპარტახებას. ვითარების გამოსასწორებლად აქტიური და ენერგიული ნაბიჯები იყო გადასადგმელი. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს სვე-ბედით დაინტერესებულმა პატრიოტებმა 1089 წელს

აიძულეს საქართველოს მეფე გიორგი II ტახტი დაეთმო თავისი ენერგიული და ნიჭიერი მემკვიდრის დავით IV ბაგრატიონისათვის.

სცენა 1.

ჭყონდიდელი იწყებს–პირველთაგან იყო სიტყვა, და სიტყვა იგი იყო ღვთისა თანა, ყოველივე მის მიერ შეიქმნა, და თვინიერ მისა არცა ერთი რა იქმნა, რაოდენი რა იქმნა.
დაღუპვის კიდესთანაა მისული სამეფო, მარტოოდენ დარბაისული თათბირი არას არგებს საქმეს, ბჭობაზე მეტად მოქმედება არის საშურო, აქმდე უფლისწულის გამეფება ნაადრევად მეჩვენებოდა, მაგრამ დავრწმუნდი ეგაა ერთადერთი გზა ხსნისა.
ლიპარიტი– გიორგი მეფე დაიქანცა და დროა ჭაბუკი უფლისწულის მკლავს მივანდოთ ქვეყნის მართვა.
ეპისკოპოსი ქუთათელი – ჯერაც ყრმაა უფლისწული ჩვენი, ვაითუ გულფიცხობა გამოაჩნდეს სახელმწიფოს გამგებლობაში. ეგეც უნდა გვახსოვდეს დიდებულნო სიბერე და სიბრძნე ტოლად დადიან მუდამ. თექსმეტი წლის ა რომ ასულიყო გოლგოთაზე მაცხოვარი ჩვენი, ვერც იგი ზიდავდა ჯვარს.
ლიპარიტი – ბიზანტიის კეისრებიდან ზოგიერთი თხუთმეტი წლისაც აუყვანიატ ტახტზე. რაღა შორს მივდივართ, დავითის პაპა ბაგრატი ცხრა წლისა გაამეფეს ერისთავებმა.რას ამბობთ, რუსთავს მიმავალი როცა ჭყონდიდელმა უფლისწული ჩაგვაბარა, სწორედ მე და ნინია ბაკურიანმა გამოვიჩინეთ გულფიცხობა, ჭაბუკმა დავითმა კი გამაოცა ომებში გაჭაღარავებული კაცი.
ეპისკოპოსი– არაერთგზის ვხლებივარ ბრძოლის ველზე განსვენებულ ბაგრატ კურაპალატსა და ჩვენს პატრონს, გიორგიდ და მეც გამაკვირვა უფლისწულის გულდინჯობამ რუსთავის ბრძოლაში.
შემოდის მეფე გიორგი. ყველა დუმს ამ დროს ქუთათელი ჩაილაპარაკებს ,,ლომს თუნდაც ცალთვალას ვინ შეჰბედავს ელამი ხარო?
რა ხდება ხუცესო ეს იგავი რად დაგჭირვებიაო იკითხავს **მეფე გიორგი,** მაშინ ერთ–ერთი იტყვის ,მეფეო დარბაზმა ვიმსჯელეთ და ტახტზედ უფლისწულის დასმის გადაწყვეტილება მივიღეთ,მოხსენების ყველას ერიდება და ამ არაკითაც ამის თქმა გვინდოდაო.
მაშინ გიორგი და რა მეთქმის ჩემო უფლისწულო როგორი ქვეყანა უნდა ჩაგაბარო აოხრებული ქართლი, აღარ დარჩა კაცი სოფელსა შინა. ქალაქები: რუსთავი, დმანისი, სამშვილდე მტრის ხელშია. თურქებს უკავათ ხორნაბუჯი, აგარანი, გავაზნი, გაგი და სხვა ციხეები. ქვეყანა მატერიალურად განადგურებული და მორალურად დაცემულია. მოსახლეობას უმძიმეს ტვირთად აწვს თურქებისათვის გადასახადი ხარკი. ბევრი ვეცადე და ვეძიე გამოსავალი, მაგრამ მე ვერ მოვახერხე დამეცვა ჩემი ქვეყანა და ხალხი. ერისთავები ისე არიან გათავხედებულები, რომ ანგარიშს არ მიწევენ, ღიად მებრძვიან და ძმათა შორის სისხლისღვრა მაინც რომ ავაცილო ხალხს თავიდან სხვა ვერაფერს ვაკეთებ და მიწების ჩუქებით ვცდილობ ერისთავების გაჩერებას. შენ ძლიერი ხარ დავით და ვიცი შეძლებ ქვეყანა გამოიყვანო ამ განსაცდელიდან. მივა დავითთან გადაკოცნის მას და ჭყონდიდელს და ცრემლმორეული დალოცავს კურთხეულ არ მეფობაი შენი დასასრულამდე ჟამთა.
ჭყონდიდელი– განიღვიძე, რად გძინავს უფალო, აღსდეგ და ნუ განგვაგდებ ჩვენ სრულად, რად გარე მიაქცევ პირსა შენსა და დაიწყებ გლახაკობასა ჩვენსა და ჭირსა ჩვენსა, რამეთუ დამდაბლდა სული ჩვენი და აღეკრა ქვეყანას მუცელი ჩვენი.
შემდეგ შებრუნდება დავითისკენ და ეტყვის: „შეიბნ მახვილი წელთა შენთა ძლიერო, შვენიერებითა შენითა და სიკეთითა და გარდააცვ და წარემართე და სუფევდე ჭეშმარიტებისა და სიმართლისათვის.ისარნი შენნი ლესულ არიან,ძლიერო,ერნი შენ ქვეშე დაეცნენ გულითა მტერნი მეუფებისა შენისანი მეფევ, მეფევ აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომხთა. „

გადიან მონაწილეები და რჩება მხოლოდ დავითი და ჭყონდიდელი.

ჭყონდიდელი– მეფეო დიდი სიფრთხილე გვმართებს. მძიმე დღე უდგას ქვეყანას, მტრები არც ქვეყნის გარეთ გვაკლია და არც ქვეყნის შიგნით, ბოლო არ უჩანს ერისთავთა გულარძნილობას. ამბობენ ლიპარიტ ერისთავი, აღსართან კახთა მეფე მახვილს ილესავსო ჩვენს წინააღმდეგ

დავითი– ვიცი ქვეყნის მოღალატეები გიორგისაგან დასაჩუქქრებას არიან მიჩვეულნი,ვერ შეეგუებიან ხელისუფლების გაძლიერებას, მაგრამ უმთავრესია ამ წინააღმდეგობას არ შევუშინდეთ და გჯეროდეს ეშმაკსაც კი მოვუხერხებთ გაწვრთნას.

გადიან დავითი დაჭყონდიდელი და შემოდიან და მაგიდას შემოუსხდებიან რატი, ლიპარიტი, ძაგან აბულეთის ძე

ლიპარიტი ბოლთას სცემს და ამბობს– ძალიან გამოცვლილია დავითი, კარგა მოზრდილი ურჩხული იზრდება,თითქოს დაბრძენებული მხცოვანი იდგა ჩემს წინ, ყოველ სიტყვას სწონიდა წინასწარ, ადრე უსწავლია, რომ დუმილი ოქროა რჩეული.

რატი მიმართავს ლიპარიტს – მამა ჩვენ და იმათი შვილები და შვილიშვილები ვართ, ვისაც არაერთგზის შეუმუსრავთ ბაგრატოვანნი. ცხენბურთში ვერ გვაჯობეს მეფემ და მისმა ერისთავებმა, ვერც ომში გაგვიძლებენ ისინი. როცა ჩემს მიერ ნასროლმა ჩოგანმა სისხლი ადინა მარცხენაზე მეფეს, თავი მოვიკატუნე, მივედი და ხელზე ვეამბორე. სისხლი ვიგემე მისი. მლაშე ყოფილა ბაგრატოვანთა სისხლი, ახლაც მწყურია იგი. ბაგრატ კურაპალატი გაექცა პაპაჩემს ლიპარიტს. მე არ ვყოფილვარ რატი,თუ გასაქცევი გზა დავუტოვო მეფეს.

ძაგანი –დღენიადაგ ომისათვის ფიქრობს დავითი და მაგას თუ ავყევით ვინღა მოიცლის სანადიროდ და მოსალხენადჩვენს ქონებაზეც უპყრია თუალი მეფე დავითს, ის რაც გვარიშვილობით მოგვიპოვებია უნდა რომ წაგვართვას.არ გამოადგება მეფეს სასულიერო წოდების უმაღლესი წარმომადგენლების წინააღმდეგ წასვლა, დიდი ძალა გვაქვს და თუ მის წინააღმდეგ გამოვიყენებთ მალე მოვუღებთ ბოლოს მის ხელისუფლებას.

ლიპარიტი– გახსოვთ ერთი დაგეშილი მართვე მყავდა არწივისა. ჯერ გავაფრენდით, მერე საქნიერს ვუჩვენებდით, დავუწრუწუნებდით, დავუწრუწუნებდით, მოვიტყუებდით, იღლიიდან ბურტყლს მოვაგლეჯდით. ვალურობას ვაცლიდით ამგვარად.დავითი კლდეკარის ციხეში თუ მოვიტყუეთ ბურტყლის გაცლა ჩემზე იყოს. თუ ყივჩაღთა ძალნი მოირთო მეფემ, ,მერმე გაგვიჭირდება თუნდაც ოთხივეს მისი დაჯაბნება, ეგ იცოდე რატი, ამას ვეჩიჩინები კვირიკე მეფესაც დღენიადაგ ვეჟინში, მანამდე უნდა მოვიშოროთ მეფე როგორმე.

რატი– დავითს მე მოვუღებ ბოლოს, უფლისწული დემეტრე ავდმყოფია და კანონიერი მემკვიდრეც არავინ დარჩება, გჯეროდეს მამავ, ბატონო, მეორე დღესვე გაკურთხებთ მცხეთაში. წამოდგება და ლიპარიტს ეტყვის დღეგრძელი იყოს მეფე და სუფრასთან მყოფნიც წამოდგებიან და ერთხმად იტყვიან დღეგრძელი იყოს მეფე.

რატის და სხვა მეამბოხე დიდებულთა სურვილი არ ასრულდა. ლიპარიტი მეფემ შეიპყრო და 2 წლიანი პატიმრობის შემდეგ ბიზანტიაში გააძევა, ხოლო 1103წ. რატის უძეოდ გარდაცვალების შემდეგ კი კლდეკარის საერითაო გააუქმა და სამეფო დომენად აქცია.უკეთესი დღე არც ძაგან და მოდოსტოს აბულეთისძეებს დაადგათ. მეფემ მათ პრივილეგიები და ქონების დიდი ნაწილი ჩამოართვა, ხოლო მათი გარდაცვალების შემდეგ მათ შთამომავლებს ყველანაირი ქონება და პრივილეგიები ერთმეოდათ. ამრიგად მეფემ ამ ორი უძლიერესი ფეოდალის დამორჩილებით ყველას დაანახა, რომ მამამისის მსგავსად კი არ დაჯილდოებით კი არ იმტკიცებდა განმდგარ ფეოდალებს, არამედ „წვრთნიდა’ მათ.

იმ ქმედითმა ღონისძიებებმა, რომლებიც დავით აღმაშენებელმა XI საუკუნის მიწურულს გაატარა, ქვეყანა აღმავლობის გზით წაიყვანა. საქართველოს მეფე უკვე აღარ ეპუებოდა თურქ–სელჩუკებს. საქართველოს

სამეფო კარმა ჯვაროსნების მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის აღებით ლახვარჩაცემული თურქ-სელჩუკების მდგომარეობის აწონ-დაწონვისა და პოლიტიკური შეფასების შემდეგ შესაძლებლად ჩათვალა ხარკის გადახდის შეწყვეტა 1099 წელს.

დიდებულთა დამორჩილების შემდეგ დავითმა მნიშვნელოვანი ყურადღება მიაქცია კახეთ-ჰერეთის შემოერთების საკითხს, რომელიც გიორგი პირველის გამეფებისთანავე ჩამოშორდა ერთიან საქართველოს და ისევ ცალკე პოლიტიკურ ერთეულად იქცა. დავითის მოღვაწეობის პერიოდში კახეთის მეფეები იყვნენ კვირიკე IV და აღსართან II. ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი დიდი პატივისცემით მოიხსენიებს კვირიკე IV კახთა მეფეს „კაცი მეფობისავე თანა მეფე-ქმნილი ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანე“. ცხადია, ამგვარი დამოკიდებულების საფუძველი ჰქონდა დავითის ისტორიკოსს. სწორედ კვირიკე IV-ს წაართვა დავითმა 1103 წელს უაღრესად დიდი მნიშვნელობის სტრატეგიული პუნქტი ზედაზნის ციხე-სიმაგრე.

1104 წელს. კვირიკე IV-ის ტახტი მისმა ძმისწულმა აღსართან II-მ დაიკავა. თავისი წინამორბედისაგან სრულიად განსხვავებით, მას მეფობისათვის არავითარი მონაცემი არ ჰქონდა. მემატიანის სიტყვებით, იგი ქარაფშუტა, ცუნდრუკი და უმეცრად უსამართლო ყოფილა. ასეთი მმართველის ხელქვეშ მყოფი კახეთის შემოერთება, ცხადია, საქართველოს მეფისათვის აღარავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა და ბევრი დიდებული მის პოლიტიკას მხარს უჭერდა. 1104 წელს დიდმა აზნაურებმა არიშიანმა, ბარამმა და მათმა ბიძამ (დედის ძმა) ქავთარ ბარამის ძემ შეიპყრეს და საქართველოს მეფეს გადასცეს კახთა მეფე აღსართანი. დავითმა ჰერეთი და კახეთი დაიკავა .

თუმცა ყველა კახეთ ჰერეთის დიდებული როდი ერთგულებდა მეფეს. მათ დასახმარებლად განძის ამირას უხმეს. ბრძოლა 1104წ. ერწუხთან გაიმართა. მემეტიანე ამბობს, რომ:“ 3 ცხენი მოუკლეს დავითს და მეოთხეზე ამხედრებულმა სრულყო ომიო.“ კახეთის დიდებულები მორჩილების გუნებაზე დადგნენ. დავითი ლმობიერების გზას დაადგა. როგორც ჩანს, კახელი ფეოდალები მკაცრად არ დასაჯა, პირიქით, „მზეებრ მოჰფინა წყალობა ყოველთა ზედა მკჯდართა ქუეყანისათა“. მეფემ ფეოდალებს ციხე-სიმაგრეები ჩამოართვა და შიგ სამეფო რაზმები ჩააყენა.ერწუხის ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ჰერეთ-კახეთი საბოლოოდ იქნა შემოერთებული, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსათვის, ამ უკანასკნელის ეკონომიკური და სამხედრო ძალების გაზრდის თვალსაზრისით.

საქართველოს საბოლოო გაერთიანება ეკლესიის, ამ დიდი ფეოდალური ძალის, მონარქიისადმი დაუქვემდებარებლად წარმოუდგენელი იყო. საქმე კი არსებითად სხვაგვარად გამოიყურებოდა: ეკლესიის ცალკეული დაწესებულებები სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსული ერისთავების დაცვასა და შეფარებას კისრულობდნენ. ამით ეკლესია ხაზს უსვამდა თავის პრიორიტეტს სახელმწიფო ხელისუფლების წინაშე, ამასთანავე ეს მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას დაპირისპირებული ფეოდალები მათივე ნათესავები იყვნენ დიდგვაროვნობის ნიშნით დაწინაურებულნი.

„წმინდანი ეკლესიანი, სახლნი ღმრთისანი, ქუაბ ავაზაკთა ქმნილ იყვნეს; და უღირსთა და უწესოთა მამულობით უფროჲს, ვიდრე ღირსებით, დაეპყრნეს უფროჲსნი საეპისკოპოსნი, — არა კარით მწყემსებრ შესრულთა, არამედ ავაზაკებრ ერდოჲთ; და მათნივე მსგავსნი ხუცესნი და ქორეპისკოპოსნი დაედგინნეს, რომელნი, ნაცვლად სჯულთა საღმრთოთა პყრობისა, უსჯულოებასა აწურთიდეს მათქუეშეთა; და თჯთ სახლით უფლისაჲთ და მღვდელთაგან გამოვიდიოდა უსჯულოებაჲ და ცოდვაჲ“

საქართველოს სამეფოს წინაშე დასახული იყო ამოცანა ცენტრალიზებული სახელმწიფოს კიდევ უფრო გაძლიერებისა და განმტკიცების მიზნით შებრძოლებოდა რეაქციულ სასულიერო არისტოკრატიას. პირველი ქმედითი ნაბიჯი რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით გადადგა დიდი საეკლესიო კრების მოწვევა იყო, კრებისა რომელიც რუის-ურბნისის საეკლესიო კრების სახელითაა ცნობილი.

კრებამ, რომელსაც უძღვებოდა დავითის აღმზრდელი ერთგული ბერი, გიორგი მწიგნობართუხუცესი, რეფორმის ძირითადი პრინციპი მდგომარეობდა იმაში, რომ დიდი საეკლესიო თანამდებობები, კერძოდ საეპისკოპოსო კათედრები მემკვიდრეობით კი არ უნდა დაეჩემებინათ დიდგვაროვან აზნაურებს,

საეკლესიო წრეებში გავრცელებული სიმონიის შედეგად, არამედ კანდიდატურები ადამიანის ღირსების მიხედვით უნდა შერჩეულიყო.
მრავალდღიანი საეკლესიო კრება, როგორც ჩანს, მწვავე ვითარებაში მიმდინარეობდა, მაგრამ დავითისა და გიორგი მწიგნობართუხუცესის მომხრეებმა მძიმე დებატების შედეგად, როგორც მემატიანე გადმოგვცემს,
„...ყოველი ცთომილი განჰმართეს და კეთილწესიერებაჲ სათნოჲ ღმერთისაჲ ყოვლითურთ დაამტკიცეს; უღირსად გამოჩინებულნი განკუეთნეს და გარდამოსთხივნეს საყდართაგან, დაღათუ არა-ადვილ იყო ესე, რამეთუ იყვნეს კაცნი მთავართა და წარჩინებულთა შვილნი, რომელთა უწესოდ დაეპყრნა საყდრები; და მათ წილ ჭეშმარიტნი და სათნონი ღმრთისანი მწყემსნი დაადგინნეს“, რომლის მ,თავარი დასტურია კრების დადგენილება ე. წ. „ძეგლისწერაჲ.
შიდა ღონისძიებების გატარების შემდეგ მეფემ ყურადღება სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაზე გადაიტანა. დავით აღმაშენებელი გეგმაზომიერად ატარებდა ღონისძიებებს ფეოდალური ქვეყნის ცენტრალიზაციისა და სამხედრო ძლიერებისათვის. 1110 წელს გიორგი მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელის, მისი დისწულის თევდორეს, აბულეთისა და ივანე ორბელის მოხერხებული მოქმედების შედეგად აღებულ იქნა ქალაქი სამშვილდე („სიმარჯჯთ მოიპარეს სამშჯლდე“). სამშვილდის დაკარგვას სელჩუკებზე დიდი გავლენა მოუხდენია: „ცნეს რაჲ თურქთა აღებაჲ სამშჯლდისაჲ, უმრავლესნი ციხენი სომხითისანი დაუტევნეს და ღამით მეოტ იქმნეს“. სელჩუკებისაგან დაცლილი ტერიტორია, ბუნებრივია, საქართველოს სამეფოს საპატრონო ხდებოდა. დავითის ისტორიკოსი აღფრთოვანებით წერს, რომ „დღითი-დღე შეემატებოდა საზღვართა სამეფოჲსათა“. 1110 წელსვე იქნა აღებული და შემოერთებული ქალაქი ძერნა.
1115 წელს, როცა დავითი მუხრანს იმყოფებოდა, გიორგი ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესმა ქალაქი რუსთავი აიღო. რუსთავის ხელიდან გამოცლამ ახალი პრობლემები შეუქმნა სელჩუკებს — ისინი ვეღარ ბედავენ საზამთრო ადგილებზე დგომას, მით უმეტეს, რომ დავითი მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა, სათანადო დაზვერვის შემდეგ „უგრძნეულად“ ესხმოდა თავს სელჩუკებს და მუსრს ავლებდა.
1117 წელს დავითმა აიღო ციხე-ქალაქი გიში და შეიპყრო ასათ და შოთა გრიგოლისძენი. გიში წუქეთის საერისთაოს ცენტრი . იმავე წელს დავითმა თავისი ძე დემეტრე შირვანს გაგზავნა „სპითა ძლიერითა“ სალაშქროდ. დემეტრემ „ქმნნა ომნი საკვირველნი, რომლითა განკჯრნა მხილველნი და მსმენელნი“, აიღო ციხე ქალაძორი, ურიცხვი ტყვე წამოიყვანა და დიდძალი ალაფი წამოიღო.
დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმავე 1118 წელს დავითის მიერ ციხე-ქალაქ ლორის აღებას. ეს ქალაქი 1065 წლიდან კვირიკიანების დინასტიის მიერ შექმნილი ტაშირ-ძორაკერტის სამეფოს ცენტრს წარმოადგენდა. დავითმა ლორე თავისი მიმდებარე ტერიტორიით საქართველოს შემოუერთა და განსაკუთრებული სამხედრო მნიშვნელობის გამო ამირსპასალართა რეზიდენციად აქცია.დავით აღმაშენებელმა იმავე წლის ივლისში ერთ დღეში აიღო აგარანი. „ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისა“ მოგვაგონებს, რომ იგივე აგარანის აღებას დავითის პაპა ბაგრატი სამ თვეს მოუნდა.
ამდენი ლაშქრობების შემდეგ ლაშქრის სიმრავლე განსაკუთრებით საჭირო გახდა . რა თქმა უნდა, გამუდმებულმა ბრძოლებმა ქართული ლაშქარი დაღალა და რიცხობრივადაც შეამცირა. ამასთან, მოპოვებული გამარჯვების განმტკიცების მიზნით, ლაშქრის ერთი ნაწილი „ქალაქთა და ციხეთა შინა მდგომად და დამჭირველად“ იქნა განწესებული.
ამოცანა მნიშვნელოვანი იყო — ლაშქარი ისე უნდა გამრავლებულიყო, რომ ქვეყნის ზეაღმავალი ეკონომიკის განვითარება არ შეფერხებულიყო, ე. ი. მატერიალური დოვლათის მწარმოებელი მასა არ უნდა მოწყვეტილიყო თავისი ძირითადი სამუშაოდან. საქართველოს სამეფო კარმა ლაშქრის გამრავლება არაქართული წარმოშობის მოლაშქრეთა ჩამოსახლების გზით გადაწყვიტა. არჩევანი ყივჩაყებზე შეჩერდა. ისინი 1118-1120წწ ჩამოასახლა დავითმა.სულ 40 000 ოჯახი, რომლეისც საქართველოს სამხრეთ საზღვრებათან ჩაასახლა და თითო ოჯახს თითო მეომრის გამოყვანა დაავალა.დავითმა ყივჩაყები რაზმებად („გუარად-გუარად“) დაყო და დაუნიშნა სპასალარნი და მმართებელნი, ამასთან, უბრუნველყო

ისინი საჭურვლითა და ცხენებით. ყივჩაყები სწრაფად ასიმილირდნენ ქართველებში. უპირველესად, ისინი ქრისტიანდებოდნენ: „უმრავლესნი ქრისტიანე იქმნებოდეს დღითიდღე და სიმრავლე ურიცხჳ შეეძინებოდა ქრისტესა“

სცენა 2

დედისიმედი და მარიამი ზის ხელსაქმით და საუბრობენ

მარიამი – ბედნიერების შესაცნობად როგორ მცირე რამაა საჭირო ერისთავთ ერისთავის ასულო, მაგრამ ჩვენ ხომ დროზე ვერ ვამჩმნევთ ამას, რადგან ბედნიერება ბულბულს გავს და შესაძლოა მას გვერდი ესე ჩავუაროთ ვერც კი შევამჩნიოთ. ჩვენს დანახვაზე ის გაიტვრინება და შეუმჩნევლად შორს გაფრინდება, ხოლო უბედურება ეკალივითაა – გვერდს, რომ ჩაუვლით თავად წამოგედებათ.

დედისიმედი – ეტყობა მეც გამიფრინდა ჩემი ბედნიერება.

შემოდის დავითი. დედისიმედი თავს დახრის სახეს შეიჭმუხნის. მარიამი გადის.

დავითი – როგორც ვხედავ ჩემმა დანახვამ დიდად არ გაგახარათ ერისთავთ ერისთავის ასულო.

დედისიმედი – რას ამბობთ, როგორ შემიძლია თქვენმა ხილვამ დამამწუხროს და არ გამახაროს, მეფევ ბატონო.

დავითი – ვიცი შენამდე ოვიდა ამბავი, რომ ყივჩაღის ქალს ვირთავ. შენ კარგად იცი, რომ ეს სიყვარულით არ ხდება და იცი ჩემი გულის მბრძანებელი ვინც არის, მაგრამ რა ვქნათ, ეს ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და მას ჰაერივით როქის სპა, მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. გული მიკვდება, როცა ასე მიყურებ, ვიდრემდის უნდა ვიყოთ ასე უმზრახივით მე და შენ? ნუთუ არ გვეყო დაუბრება?

დედისიმედი – მე არასდროს ვყოფილვარ უმზრახად მეფევ ბატონო, მრავალი ბედნიერი წუთი გამიტარებია თქვენთან ერთად.

დავითი – მე მეფე ვარ ამჟამად და თითქოს ჩემი სურვილი გარდაუვალი უნდა იყოს, მაგრამ ვერც მეფენი გარდაუვლენ განგების ნებას. შენ იცი სულო, მე ხშირად მინატრია უბრალო მდაბიო ვიყვე, მარანი მქონდეს ლეღვიანში და პატარა ვენახი, მზვარიან კორდზე შეფენილი, მუშაობდე შენთვის, შენთვის ვიზოგავდე სოფელს, რადგან შენ ხარ ჩემი ვენახი, ნაყოფსავსე და ლხენის ბაღნარი.

დედისიმედი – ჰოი, რა სასტიკია განჩინება ბედის წერისა. მე უკვე მეშინია მეფეო იმისა თუ რა იქნება, მთელი სასახლე იმაზე საუბრობდა, რომ მე თქვენი დედოფალი ვიქნებოდი, მრცხვენია მათ თავლის გავუსწორო.

დავითი – ზოგ ვინმესავით შენც ხომ არ გგონია, თითქოს მე ისეთი გულმხეცი ვიყვე, მიხაროდეს შენი დატანჯვა. არც ისაა მართალი, თითქოს მეფენი ყოვლიშემძლენი იყვნენ და მათ შეეძლოთ ყოველწუთში ისეთი, რამ მოიმოქმედონ რასაც კაიკაცობა და გულჩვილობა უკარნახებთ მათ. ამ ქვეყნად ყოვლისშემძლე, მხოლოდ უფალია ერთი.

დედისიმედი – კარგად ვიცი, რომ მეფეებს უფრო დიდი მისია აკისრიათ ამ ქვეყანად ვიდრე მისი პირადი გრძნობების დაცვაა, ჯერ კიდევ ჩვენ წინაპრებს უთქვამთ: „მეფე ხარ და ხამს; მეფე ხარ და გევალება; მეფე ხარ და გევალება“. მხოლოდ ერთ რამეს ვითხოვ: „ უფალო ძალითა შენითა იხარებდეს მეფე და მაცხოვრებითა შენითა იშვებდეს ფრიად“.

დედისიმედი გადის ოთახიდან. მარიამი ამბობს:

მარიამი – საოცარია როგორ გაუჩნდა იმ ისკარიოტელს ლიპარიტ ამირასა და იმ გველისთავ კატაის, ასეთი ანგელოზი. ვინ ჩაწვდება განგების ზრახვებს ან ვინ გაიგებს, რად ამოდის ნეხვიანი მიწიდან ზამბახი, და რათი ისხამს ასეთ მშვენიერ ყვავილს ასკილი.

მარიამი და დავითი გადიან

დავითს ჯარის სიმრავლემ საშუალება მისცა არერთგზის და მოულოდნელად დასხმოდა თავზე სელჩუკებს და დაემარცხებინა ისინი. გაუთავებელმა მარცხმა მაჰმადიანები ძალიან გაამწარა. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ მათ ბატონობას მალე თბილისშიც მოეღებოდა ბოლო და გადაწყვიტეს ერთიანი ძალით კვლავ შეეტიათ საქართველოსათვის.მაჰმადიანებმა უზარმაზარ კოალიციურ ლაშქარს მოუყარეს თავი, რომლის რაოდენობაც 300 000-ს აღემატებოდა, რომელსაც სარდლობდა ნეჯმ ად დინ ილ ღაზი. დავით აღმაშენებლის სამხედრო ძალის რაოდენობა, სომეხი ისტორიკოსის, მათეოს ურჰაეცის ცნობით, შეადგენდა 40 000 ქართველს, 15 000 ყივჩაყს, 500 ოსსა და 100 ფრანგ (ევროპელ) ჯვაროსანს. დავითმა აქ გამოავლინა დიდი მხედართმთავრული და სტრატეგიული ნიჭი. მან მარჯვედ შემოიტყუა მოწინააღმდეგის უზარმაზარი არმია დიდგორის ვიწრო ხეობაში, სადაც მტერს თავისი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება აღარ შეეძლოდავითმა ბრძოლის წინ ხერხს მიმართა. ლაშქარს 200 მეომემარი გამოეყო. მტერს ისინი მოღალატეები ეგონათ და შეუშვეს თავიანთ განლაგებაში, მათ კი ხმლები იშიშვლეს და ამით დიდი არევ დარევა შეიტანეს ლაშქარში. ეს იყო მეფის ჩანაფიქრიც.ამასობაში დავითი და უფლისწული დემეტრე ფლანგებიდან ეკვეთნენ მტერს. მაჰმადიანთა ლაშქარი სასტიკად დამარცხდა. გაქცეულ მტერს ქართველებმა დიდ მანძილზე სდიეს. მტრის მხოლოდ მცირე ნაწილმა გააღწია სამშვიდობოს. თვით ილღაზი, ჯარის სარდალი, ძლივს გადაურჩა ბრძოლის ველზე სიკვდილს და თავში მძიმედ დაჭრილი გაბრუნდა უკან.

ამ გამარჯვებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მახლობელ აღმოსავლეთსა და ევროპაში. ამ ბრძოლის შესახებ წერდნენ ევროპელი, სომეხი თუ არაბი ისტორიკოსები. ჯვაროსნები დავითს როგორც მოკავშირეს ისე უყურებდნენ და მისგან დახმარებასაც კი ელოდნენ.

დიდგორში ქართველთა გამართჯვებამ შესაძლებელი გახადა თბილისისთვის ბრძოლა.1122წ. მეფემ ბრძოლით აიღო ქალაქი „ოთხას წელს ქონებული სპარსთა“ და საგახტო ქალაქი ქუთაისიდან თბილისში გადაიტანა. ხოლო მომდევნო 1123წ. კი მეფემ აიღო დმანისი, რითაც ფაქტობრივად დასრულდა ქართული მიწა წყლის გაერთიანება. მაგრამ მეფე მშვიდა ვერ იქნებოდა სანამ ჩვენს საზღვრებთან სელჩუკები იყვნენ. მით უმეტეს, რომ თავად ანისის მოსახლეობის თხოვნა იყო , რომ მეფე მათ დახმარებოდა. მანაც არ დააყოვნა და 1123წ. აიღო ანისი და შირვანიც ეს ტერიტორიები საქართველოს სამეფოს შემოუერთა. ამიერიდან დავითი იწოდებოდა: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა , კახთა, სომეხთა, შირვანშა და შაჰანშა.

სცენა 3

დავითისა და ნიანიას სცენა. დავითი ზის მოხრილი და დაღლილი

ნიანია- მეფევ ბატონო ვხედავ როგორ დაგაოსად ომებმა და შრომამ, მაგრამ მე უკვე აღარ ვიცი რად ვცხოვრობ ამ ქვეყნად. ჩემი თანკბილა სპასალარები ჩემზე გონიერნი აღმოჩნდენ ცოლიცა ჰყავთ და შვილებიც. მეკი ისე დავრჩი როგორცმარტო ხე მოტიტვლებულ ტრამალზე. გულახდილად მოგახსენო თუ მშვიდობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მე სანატრელი გამიხდება სიკვდილი. როცა სასახლის კარს მალემსრბოლელი მოადგება, აგრე მგონია მტერთა დალაშქვრის ამბავს მოიტანს მეთქი. მე მრცხვენია კიდევაც ამის უწყების, მაგრამ არ შემიძლია გულახდილი არ ვიყო შენს წინაშე მეფევ ბატონო.

დავითი მხარზე დაადებს ხელს- ნუ ჭმუნავ ნიანია, ეგეც იცოდე უფრო დიდი ომები მოგველის, ჯავარდენები კვლავაც დაგვჭირდება, რაც უმთავრესია ბოლოს ყველა ჩვენგანს მოელის უკანასკნელი ომი, სადაც როგორც მეფე, ისე მისი ყმა იძულებულია მარტოხელად იომონ.

ნიანია- ჩვენ მამაკაცები ბედნიერები ვართ, ზოგჯერ ისეთ უბედურებას, როგორიც ომია ბედნიერებასაც გამოვძალავთ ხოლმე. მომეწყინა მეფეო უომრად.

დავითი გაიღიმებს და ეტყვის- ყოველ ვაჟკაცს მუდამ თან ახლავს ერთი მოუცილებელი მეაბჯრე, რომელიც მარადჟამს ლანდივით ტანა სდევს მას. ეგ მოუცილებელი მეაბჯრე გახლავს სიკვდილი, ხან ინდოელ ფაკირსავით ცეკვავს მოპირულ ხმლებზე, ხანაც ჯიქურ მიმქროლავ ისრების წვეტებზე მოფრინდება.არავინ იცის, თუ მისი შუბი როდის შეანგრევს უმამაცესი რაინდის ბექთარს და როდის უწევს გულამდე.

ნიანია- ჩინებულად ბრძანე მეფევ ბატონო, მართლაცდა მოუცილებელი ჩვენი მეაბჯრეა სიკვდილი და მთავარზე უმთავრესია არ შევკრთეთ მის ლოდინში

დავითი- ერთი ბრძოლის ველზე შემხვდებოდეს სიკვდილი მარყუჟს გადავაცვამდი თავზე და მოვგუდავდი უცილოდ ნიანია.

ნიანია- ბევრ ბრძოლაში მოგიგუდავთ სიკვდილი და გამარჯვება გიგემიათ მეფევ ბატონი, თქვენი დამსახურებაა დღეს ქვეყანამ შვებით რომ ამოისუნთქა, მოსახლეობა მტერთან ბრძოლის ნაცვლად ვენახებში მუშაობს და ყურძნით დატვირთულ ჩოციალა ურმებს დაატრიალებენ. ყველგან მხიარული სიმღერა ისმის, კლდეებში შეფენილ სოფლებში მამლის ყივილი რომ მოხშირდა . წლების წინ კი თურქების შიშით ხალხი გვირაბებში იყო გახიზნული.

დავითი- გეთნხმები ნიანია, ხალხმა ამოისუნთქა,მაგრამ არ ვიცი ოდესმე მოისპობა საშიშროება? ზოგჯერ ლომების დრვინვა ან ავაზების ღნავილი გამაღვიძებს ღამით და არ მჯერა ხვალ-ზეგ ისევ ომებში არ მოგვიწევს წასვლა. რამდენი სისხლი და ჯაფა წაიღეს ამ წლებმა.რამდენი შესანიშნავი ვაჟკაცის სიცოცხლე შეეწირა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას.

ნიანია- იცით მეფეო ძნელია უმტეროდ ცხოვრება, მართალი უთქვამს ბრძენ კაცს არ ვარგა კაცი უმტეროდო

დავითი- ჰო მაგრამ მასვე უთქვამს არც მტერმორეული ვარგაო.და თავს ჩაღუნავს

ამ დროს შემოდის დემეტრე მეფის წინ დაიჩოქებს და მარჯვენა ხელზე ემთხვევა

დავითი თავზე დაადებს შვილს ხელს და ამბობს- ჟამი რა წულილთა ამოფშვინვათაი წარმოდგეს

და დიდებაი დაშრტდეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყვავილობაი დაჭკნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრაი, სხვასა შეუდგნენ სპანი, მაშინ შემიწყალე მსაჯულო ჩემო.

დემეტრე, შვილო, ჩემო ვგრძნობ მალე მომიწევ უკანასკნელი ბრძოლა სიკვდილთან. გიტოვებ ქვეყანას სელჩუკიანთა ხელიდან წაგლეჯილს, გაერთიანებულსა და მშვიდობა დამყარებულს ნიკოფსიიდან დარუბანდამდის და გულგულადან ანისამდის. კარგად იცი რომ სელჩუკებს ხელი ავაღებინე სომხითისა და სომხეთის დალაშქვრაზეც. უმტკიცესი ციხენი შევაკეთე ,გზანი, ქსენონი და ხანაგანი ავაგე, მრავალი ხიდი გასდევს მდინარეთა სასტიკთა ზედა. გაწბილებული დავტოვე ხრისტოდულე და სხვა განპატიჟებული ეპისკოპოზნი და მღვდელმთავარნი, რომელნიც ჩიოდნენ დავით მეფემ სამეფოს საჭურჭველნი ყივჩაღებსა და ცხენებს შეალიაო.

კარგად უწყი ჩემო ძეო ქვეყნისათვის რამდენად მნიშვნელოვანია რწმენა, ამიტომ ეკლესიებისა და მონასტრების აშენება, შეკეთება დავიწყე და ავაგებინე სინას მთაზე მონასტერი, სადაც ღმერთი იხილეს მოსემ და ელიამ.გელათის მშენებლობაც უკვე დასასრულს უახლოვდება და მჯერა გელათი გახდება ,,არმატებული ყოველთა წინანდელთა ქმნულთა, გელათის აკადემია უნდა გახდეს შვილო ადგილი სადაც ახალი თაობა გაიზრდება. ჩემ შთამომავლებს შესაძლებლობა გაქვთ თბილისი სასახლეში ხანგრძლივად დარჩეთ, რადგან უკვე ის მტრებისგან გათავისუფლებულია. ჩემო ძეო იყავი შემწყნარებელი და კეთილი დამოკიდებულება შეინარჩუნე თბილისი მუსლიმანი სარწმუნოებისა და მეცნიერების მიმართ ისევე როგორც მე მოვიქეცი. მომავალი მეფე ხარ და არ დაივიწყო ჩვენი გმირები, რომლებმაც მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გამარჯვებები მოგვატანინა, არ დაივიწყო დიდგორი მაგალითი იმისა თუ როგორ შუძლია მოახდინოს სასწაული და შეუძლებელი შეძლოს ერთიან ქართულ სულს.

შემდეგ მიუბრუნდება ნიანიასა და დემეტრეს და ეტყვის ახლა უკვე ძილის ჟამია და დამტოვეთო. ნიანია ჩაილაპარაკებს გასვლამდე უფალო ღმერთო მიუტევენ დავითს ბრალნი მისნი და ცდომილებისანი.

გადიან ორივე და ამ დროს ხედავს ხილვას დავითი დედისიმედი შემოდის ოთახში. დავითი წამოდგომას დააპირებს, მაგრამ წაბარბაცდება. დედისიმედი მუხლს მოიყრის მეფის წინაშე და ცრემლიანი თვალებით შეხედავს. **დავითი**– როგორ დიდხანს გეძებდი როცა ნაჭარმაგევის ციხიდან გაიპარე და გაუჩინარდი.ყველგან გეძებდი არზრუმსა, ბაღდადსა და პალესტინაში.მაპატიე, რომ ვერ შევძელი შენს გვერდით ყოფნა, ქვეყანა მძიმე მდგომარეობაში იყო , ბრძოლებით დასუსტებულ ქართველ ლაშქარს ძალიან უჭირდა შინაურ თუ გარეშე მტრებთან ბრძოლა, ამიტომაც მივიღე ყივჩაღების ჩამოსახლების გადაწყვეტილება და კავშირი რომ გამეძლიერებინა ჩვენსა და ყივცაღებს შორის იძულებული ვიყავი ყივჩაყთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასული შემერთო ცოლად. ვიცი დიდი ტკივილი მოგაყენე.მაპატიე დაო, შენი და ჩემი სიცოცხლე საქართველოს რომ შევწირე ტარიგად.

და დაღლილი გააგრძელებს:

„ უფალო ნუ გულისწყრომითა შენითა მამრიდე მე
ნუცა რისხვითა შენითა მასწავლი მე,
მიწყალე მე უფალო, რამეთუ უძლური ვარ
განმკურნე მე უფალო რამეთუ შემიძრწუნდეს ძვალნი ჩემნი.“